საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, დაარსდა 1926 საკურორტო სამმართველოსთან სატყეო მუზეუმის სახელწოდებით (მ. მურვანიშვილისა და გ. სალარიძის ინიციატივით). მუზეუმი განთავსებულია რუსეთის საიმპერატორო ოჯახის, რომანოვების, ყოფილი სასახლის კანცელარიის შენობაში, რ-იც 1890 გერმ. არქიტ. ვ. შვეიერმა 1890 ფსევდოგოთურ სტილში ააგო. პირველ ექსპოზიციაში იყო ხის ჯიშები, ცხოველთა ფიტულები, პეპლების კოლექციები, დაზიანებული ხეების ნიმუშები, ტყის, როგორც კურორტის განვითარების ერთ-ერთი ძირთადი ფაქტორის, ამსახველი მასალა.

1936 იგი გადაკეთდა ბ. მ. მ-ად. ჩატარდა საორგანიზაციო სამუშაოები (1952, 1964, 1986), ექსპედიციები, ახ. ექსპონატების შეგროვება-შენახვა. მუზეუმში 4 სტაციონარული განყ-ბაა: მხარის ბუნების, 1921-მდე პერიოდის, უახლესი ისტ. პერიოდისა და მხატვრული. ფონდებში დაცულია გეოლ., ბოტან., ზოოლ., არქეოლ., მინერალოგიური, ნუმიზმატიკური, ეთნოგრ. კოლექციები, ფოტოსურათები, დოკუმენტები, ფერწერა და სხვ. სულ 2 ათ. ექსპონატი, რ-თა შორისაა: მზის ღვთაებასთან დაკავშირებული ჭვირული დისკოები (ძვ. წ. აღ. II ათასწლ.), ბრინჯაოს ბალთები, ფიბულები და სხვ.,; რომანოვების საიმპერატორო ოჯახის პირადი ნივთები – გამოყენებითი და სახვ. ხელოვნ. ნიმუშები (მე-19 ს.) და სხვ. მუზეუმის ფართობი მოიცავს 584 მ²-ს, აქედან მუდმივ ექსპოზიციას უჭირავს 297 მ², პერიოდულ გამოფენებს -36 მ² საცავს - 110 $м^2$.

მუზეუმში ტარდება ლექცია-საუბრები, სამეცნ. სესიები, შეხვედრები და სხვ.